საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

145-01-2-202001150918

N 01/145
15/01/2020

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსს
ბატონ ზაალ ივანიძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 6 იანვრის N16/198 წერილი (შემოსული დოკუმენტი N30/01 თარიღი: 06.01.2020), რომელიც ეხება დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ უძრავი ქონების (ს/კN 61.11.22.459) პრივატიზებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დაბა აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს შერეულ ზონა 6 - ში სადაც მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მინიმალური ფართი 200 კვ.მ. -ია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია, შესაძლებელია აღნიშნული ნაკვეთის კეთილმოწყობისა და ხაზობრივი ნაგებობისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსებისათვის გამოყენება.

ასევე რეკომენდაციის სახით გიგზავნით მიწის ნაკვეთის ალტერნატიულ სქემას რათა შესაძლებელი იყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნულის შესაძლებლობა დადგინდეს ადგილზე აზომვითი სამუშაოების ჩატარების შემდგომ.

დანართი; 1 rar ,1 გვერდი

პატივისცემით.

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი